

ინვესტიციის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის ძირითადი მიმართულებები

DOI:10.36962/ECS107/1-2/2025-12

ლამარა ქოქიაური

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეროვნული ინოვაციური საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი
<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>
Email: lqoqiauri@yahoo.com

რეზიუმე

წარმოდგენილი შრომის მიზანია წინა პლანზე წამოიწიოს ინვესტიციების, საინვესტიციო საქმიანობის, ინვესტიციის ბაზრის განვითარების ამოცანების შესრულებაში სახელმწიფოს როლის, ჩარევის, მხარდაჭერისა და რეგულირებაში გააქტიურების აუცილებლობა. ახორციელებს რა პირდაპირი ინვესტიციების რეგულირებას, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება, კერძოდ: ხელსაყრელი პირობების შექმნა საერთოდ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის. (ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია სამენარმეო საქმიანობის შესახებ სწორი კანონმდებლობის მიღებით, დადგენილი ნორმების ზედმინევენით დაცვითა და უზრუნველყოფით, თავად გადაწყვეტის სამართლიანი და წინასწარგანჭვრეტილი სისტემების შექმნით); კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფა, სამენარმეო საქმიანობის წარმართვისათვის, ასევე სხვა მენარმეთათვის სამართლიანი პირობების შექმნა.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო წარმატებით ასრულებს ამ ამოცანებს, მისი არსებობა ბაზარზე, როგორც წესი, შეუმჩნეველია, ყოველ შემთხვევაში, ეროვნული (ადგილობრივი) ინვესტირებისათვის მაინც. უცხოელი ინვესტორებისათვის, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, არსებობს იმის ალბათობა, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება მტრული, არამეგობრული ქმედებები. ეს უკანასკნელი მის მიმართ ხორციელდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უცხოელი პირია (ფიზიკური ანდა იურიდიული). საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და საერთაშორისო სამართლის ნორმების, საერთო პრინციპების განვითარება თანამედროვე პირობებში საბოლოო ჯამში არ დაუშვებს იმას, რომ ადგილი ჰქონდეს უცხოელ ინვესტორთა დისკრიმინაციას. სახელმწიფოს მიერ ეროვნულ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლისათვის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფა, არსებითად თანაბარი ზომით ეხება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების ინტერესებს. შრომაში ყურადღება გამახვილებულია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგლამენტირებელი სპეციალური სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებების, დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციის ბაზარი, რეგულირება, საინვესტიციო რეგულირება, საინვესტიციო კანონმდებლობა, დეფინაცია, კონსერვატული, რეფორმისტულ-დირიჟაბლური უცხოური ინვესტიციები

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპები, მათ შორის, მენარმეობის თავისუფლება და კერძო საკუთრების პრიორიტეტი დიდი ხანია აღარაა დისკუსიის საგანი-ისინი დემოკრატიული საზოგადოების ატრიბუტებად იქცნენ. პოლიტიკურ დებატებსა და მეცნიერთა გამოკვლევებში მსჯელობა უფრო ხშირია ეკონომიკისა და საზოგადოების ფუნქციონირების მექანიზმებზე

და დროით ნაკარნახევ პრობლემებზე, რომლებიც ეკონომიკური და სხვა სფეროებში მოქმედი მეტად მრავალფეროვანი ფაქტორებითაა განპირობებული. ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ გამართულ პოლემიკებში წინა პლანზეა წამოწეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, რომლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი საინვესტიციო პოლიტიკაა. ეს უკანასკნელი დიდად განსაზღვრავს ეროვნულ ეკონომიკაში საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის დონესა და მის მიმართულებებს.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემა მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურად მონაწილეობას დაგროვების პროცესის განხორციელებაში, თანაც არაპირდაპირი მეთოდებით. ეს კი, თავის მხრივ, ამ სფეროს რეგულირების სრულიად კონკრეტული ობიექტის განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველოში მაკროეკონომიკური რეგულირების განსაკუთრებული სფეროს-ინვესტიციურის ამჟამად არსებული ვითარება, რეგულირების ობიექტის-ინვესტიციის ფაქტობრივი არ არსებობისას, მოითხოვს ამ პრობლემის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

საქართველოში ინვესტიციური სფეროს თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგულირების მონეტარისტული მეთოდების გამოყენება, ადაპტირებული უნდა იყოს ქართულ სინამდვილესთან.

მეთოდოლოგია. „ინვესტიციის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის ძირითადი მიმართულებების“ შრომაზე მუშაობის პროცესში: დავეყრდენით აღნიშნული პრობლემების შესწავლისა და გაანალიზების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ნაშრომებს, ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების ფუნდამენტურ კვლევებსა და მონოგრაფიებს; დაცულია მეცნიერული შემეცნების პრინციპები, ლოგიკური, ეკონომიკური და სისტემური ანალიზის მეთოდები. შევისწავლეთ, განვაზოგადეთ და გამოვიყენეთ ინვესტიციურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის, მხარდაჭერის, რეგულირების უცხოური თეორია და პრაქტიკა.

შესწავლის დონე. ინვესტიციური საქმიანობის, ინვესტიციის ბაზრის, სახელმწიფო რეგულირების და მხარდაჭერის პრობლემებისადმი დღეისათვის მიძღვნილია სერიოზული მეცნიერული კვლევები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინვესტირების პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევის, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ცვალებადი და ევოლუციური ხასიათის შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება არის მიქცეული ინვესტიციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების შესახებ არსებული კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებისადმი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემები ამა თუ იმ კუთხით განხილულია: ს.სტრნგეს (1998), ლ. იგონი-ნას (2009), ო. იოფეს (1975), ლ. ქოქიაურის (2017), ა. სიჭინავას (2010), ვ. მოსიაშვილის (2024), ფ. ფაბოცის (2000), ვ. ასკინიდის (2017) და სხვათა შრომებში.

ძირითადი ტიპსტი

ინვესტიციური სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის ძირითადი ელემენტები. ხაზგასმით გვინდა გამოვყოთ ინვესტიციური სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი ელემენტები:

- ინვესტიციური საქმიანობის შესახებ სრულყოფილი კანონმდებლობის მიღება;
- მინით და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და ინვესტიციური საქმიანობის უფლების მინიჭების პირობების შემუშავება;
- გადასახადებისა და საგადასახადო შეღავათების სისტემის შექმნა;
- მიზნობრივი ობლიგაციებისა და სესხების შემოღება-გამოშვება;
- ბიუჯეტური ინვესტირების ახალი მიმართულებებისა და მეთოდების გამომუშავება;
- სახელმწიფო ფინანსური დახმარების გამოყოფა დოტაციების, სუბვენციების, ბიუჯეტური სესხების სახით, სახსრების გამოყოფა და შეღავათიანი მიზნობრივი დაკრედიტების გამოყენება საინვესტიციო საქმიანობის ყველაზე უფრო პრიორიტეტული მიმართულებისათვის;
- ამორტიზაციის პოლიტიკის შეცვლა, მათ შორის, ძირითადი კაპიტალის, მოწყობილობისა და

ა.შ. დაჩქარებული გამოყენების სფეროს გაფართოების გზით;

- ანტიმონოპოლიური ღონისძიებები, რომლებიც რეგიონულ თავისებურებებს გაითვალისწინებს;

- პროდუქციის ლიცენზირება და კვოტირება;

- საგანგებო ზომების მიღება ბაზრის ფორმირების პერიოდში, საზოგადოებრივად გამართლებული დროებითი შეზღუდვების შემოღება.

ინვესტიციურ სფეროში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები. ამჯერად ყველაზე აქტუალურია ინვესტიციის ბაზრის ფორმირების პირველი რიგის ღონისძიებებისა და გზების განსაზღვრის პრობლემა. თანამედროვე მდგომარეობისა და დასახულ ღონისძიებათა საბოლოო მიზნების გათვალისწინებით, ინვესტიციურ სფეროში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების, კონცეფტუალური საფუძვლები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

- თავისუფალი მენარმე-ინვესტიციების (ე.ი. დამკვეთთა) ფორმირების უზრუნველყოფა. დამკვეთთა ახალი ტიპი ხელს მოჰყიდებს არა უფასო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა “ათვისებას”, არამედ იზრუნებს ამა თუ იმ პროექტში თავისი (ან ნასესხები) სახსრების ეფექტიანად დაბანდებაზე. თანაც ის იქნება მიღებულ გადანყვებილებზე პასუხისმგებელი;

- განსახელმწიფოებრიობითა და მენარმეობის განვითარებით თავისუფალი მენარმე-დამკვეთების ფორმირება. ამის უზრუნველყოფა შეიძლება სამშენებლო კომპლექსის საწარმოთა აქტიურად გარდაქმნით აქციონერთა საზოგადოებებად, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებებად, მენარმეობის სხვა ეფექტიან ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად;

- შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც გულისხმობს კომერციული ბანკების ქსელის, ბირჟების, სავაჭრო სახლების, ტენდერული კომიტეტების, საშუამავლო, სარეკლამო და სადაზღვევო ფირმების შექმნას, საკრედიტო, სადაზღვევო და აუდიტორული სისტემების განვითარებას, საგირავნო ურთიერთობათა შემოღებას და ა.შ;

- საბაზრო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა. შესაძლოა, ეს იყოს შემოთავაზებული კონცეფციის ყველაზე აქტუალური ბლოკი, რადგან განახლების წარმართვის პარალელურად აუცილებელია მართვის ძველი სისტემის დემონტაჟი;

- დაბოლოს, კრედიტის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, სამუშაო ძალის, საპროექტო და სხვა მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრების ოპტიმალური შესამება, მათი პროპორციული განვითარება. ჩანს, რომ გარდამავალ პერიოდში საჭირო გახდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრის მეთვალყურეობისა და რეგულირების განსაკუთრებული სისტემის ჩამოყალიბება.

საინვესტიციო კანონმდებლობის მდგომარეობა საქართველოში: ნაკლოვანებები და დადებითი მხარეები. საქართველოს კანონში - “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” ინვესტიცია ძალზე ზოგადად არის განსაზღვრული. უზუსტო “ამოსავალი ნორმის” შემოღების თავიდან ასაცილებლად, ყველაზე უმარტივესია აღნიშნულ კანონში კაპიტალის დაბანდების ყველა ჩამონათვალი ჩაიდოს, რომლებიც თავიანთი ეკონომიკური შინაარსით ინვესტიციებს შეესაბამება. ინვესტიციის ფუძემდებლური განმარტება, სხვადასხვა ახსნა-განმარტებითი აქტების გარეშე, ზემოთ აღნიშნულ ნორმატიულ აქტს საქართველოს კანონმდებლობის ყველა სფეროში რეგულარულს გახდიდა და საინვესტიციო საქმიანობის ყველა მონაწილისათვის სავალდებულო იქნებოდა.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა ფაქტობრივად მხოლოდ აღნიშნული კანონის სახით არსებობს, თუ არ ჩავთვლით კანონს უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელების რეჟიმსა და გარანტიებს. მისი მიზანია სხვა კანონებთან ერთად შექმნას უცხოური კაპიტალის მოზიდვის, დაბანდებისა და კაპიტალბრუნვისათვის ხელსაყრელი პირობები. ამავე დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინვესტიციური სამართლებრივი ბაზის განსამტკიცებლად შემუშავდეს სათანადო დამატებითი კანონები და ნორმატიული აქტები.

გარდა ამისა, საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს საინვესტიციო საქმიანობის ერთიანი მაკოორდინებელი ორგანო. ეს იმ დროს, როდესაც ინვესტიციებისათვის გააზრებული სამართლებრივი რეჟიმის შექმნა დიდად უზრუნველყოფს ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკური პროცესის განვითარებას. ინვესტიციური კრიზისის პირობებში ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენი აზრით, კანონში - “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საჭიროა “მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები” განვსაზღვროთ ფინანსური თვალსაზრისით. ინვესტირება ეკონომიკური რესურსების გრძელვადიანი დაბანდება მომავალში წმიდება მოგების მისაღებად, რომელიც აღემატება ინვესტიციების საწყის სიდიდეს.

კანონში - “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” (უმჯობესია მას დაერქვას “კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ”) უნდა ჩაიდოს ცნება “მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები”, ვინაიდან ფინანსური და ეკონომიკური თვალსაზრისით ინვესტიციები მოქმედების ვადის მიხედვით შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი. პირველ შემთხვევაში ვადა ერთ წელიწადს მოიცავს. გრძელვადიანი ინვესტიციები ერთ წელზე მეტ დროზეა გათვლილი. მაგალითად, ჩვეულებრივი აქციების შემთხვევაში საერთოდ არ არის ვადა შეზღუდული, თუმცა, კერძო შემთხვევაზე შეიძლება გავითვალისწინოთ. სახელდობრ, დეპოზიტური სერტიფიკატი ექვსი თვის ვადით-ეს მოკლევადიანი დაბანდება, ხოლო ობლიგაცია 20 წლის დაფარვის ვადით-გრძელვადიანი დაბანდება. ამასთან, ინვესტორს შეუძლია გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდის ყიდვით და მისი მოკლე ხანში, ვთქვათ, 6 თვეში გაყიდვით გრძელვადიანი ინვესტიციები მოკლევადიანი მიზნებისთვის გამოიყენოს.

ინვესტიციების კანონში შესატანი სადისკუსიო ცვლილებების შესახებ. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა კიდევ ერთი საკითხი, სახელდობრ, მაკროეკონომიკურ დონეზე იმ ხარჯებს, რომლებიც დაგროვების პროცესის მსვლელობას ახასიათებს, მიეკუთვნება მატერიალური საბრუნავი საშუალებები. მაგრამ ამ ხარჯების მიკუთვნება საინვესტიციო დანახარჯებზე საწარმოს დონეზე სადისკუსიოა.

მართლაც, ძირითად საწარმოო კაპიტალს ფუნქციონირება არ შეუძლია საბრუნავი საშუალებების გარეშე, ვინაიდან ის თავისთავად არ ქმნის არც პროდუქციას და არც დამატებულ ღირებულებას, რომელსაც შემდეგ დაგროვების მიზნით იყენებენ. ამასთან დაკავშირებით, ძირითადი კაპიტალის გაფართოება მოითხოვს მატერიალური მარაგების იმავდროულად გაზრდას. ამის მიუხედავად, საბრუნავი მატერიალური აქტივების შეძენის ხარჯების ინვესტიციებზე მიკუთვნების მართებულობის შესახებ საკითხის გადანყვეტის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორი: სახელმწიფო რეგულირების სპეციალური დებულებები, საერთოდ, და საგანგებო საგადასახადო რეჟიმი, კერძოდ (არადა მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაში აქვს აზრი ინვესტიციების გამოყოფას კაპიტალური დაბანდების განკერძოებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ კატეგორიად). რაც შეეხება საბრუნავ საშუალებებში დაბანდებას, რომელიც თავისი ეკონომიკური არსით მოკლევადიანია, ეს შესაძლებლად არ გვესახება. არის კი აუცილებელი საწარმოების დაბანდების სტიმულირება საბრუნავი მატერიალური აქტივების მატებაში, როცა ნატურალურ-ნივთობრივ შედგენილობაში მათი ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა და საწარმოო მარაგებთან ერთად მოიცავს დაუმთავრებელ წარმოებასაც და საქონელსაც, რომელსაც დღეს, მაგალითად, ისედაც დიდი ხვედრითი წონა აქვს საწარმოთა ქონებაში?

თანამედროვე პირობებში, როცა კაპიტალდაბანდების ამა თუ იმ ფორმის არჩევისას საწარმო ხელმძღვანელობს მისი ლიკვიდურობის პრინციპით, სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას და სტიმულირებას მოითხოვს სწორედ ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარება, რომელიც განისაზღვრება გრძელვადიან აქტივებში (ძირითად კაპიტალში) კაპიტალის დაბანდებით.

დეფინიციის პრობლემის მნიშვნელობა და აქტუალობა. ზემოთ მოყვანილი ყველა მსჯელობის მიზანია დავამტკიცოთ “დეფინიციის პრობლემის” მნიშვნელობა და აქტუალობა საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობის სფეროში, რომელიც სახელმწიფო რეგულირების მკაფიოდ

განსაზღვრული ობიექტის არარსებობას უკავშირდება. დღევანდელ პირობებში კი, როცა ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ტექნოლოგიური საფუძველი დანგრევის პირზეა, შექმნილი ვითარება მოითხოვს უსწრაფესად გადანყვეტას. ამ სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროდ მიგვაჩნია საკანონმდებლო წესით განისაზღვროს ინვესტიციები, როგორც ხანგრძლივი გამოყენებისთვის განკუთვნილი რეალური და ფინანსური აქტივების შექმნის, გაფართოებისა და შეძენისათვის განუღივანებული დანახარჯები.

გარდა ამისა, საინვესტიციო დანახარჯების განხორციელებისას საგადასახადო შეღავათების დაწესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინვესტიციების კატეგორიის დაზუსტება დაბანდების შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ისეთი რთული ამოცანების გადანყვეტა, როგორიცაა მრეწველობის ტექნოლოგიურად განახლება და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, შესაძლებელია ძირითადად პირდაპირი, არაპორტფელური ინვესტიციების ხარჯზე. ისეთ პირობებში კი, როცა მიღწეული იქნება საერთო ეკონომიკური სტაბილიზაცია, გადაჯგუფება მოხდება ინვესტიციების სტრუქტურაში პორტფელური ინვესტიციების სასარგებლოდ, რომლებიც ხორციელდება საფონდო ბაზრის მეშვეობით. გარდა ამისა, საკმაოდ რთულია მომავალში დადგინდეს ლარისა და უცხოური ვალუტების თანაფარდობა ინვესტირებისას, რაც ჯერჯერობით კერძო საინვესტიციო შეთანხმების დონეზე წყდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხოური კაპიტალის მასობრივად შემოდინება ქვეყანაში ეროვნულ ეკონომიკას უთუოდ დამოკიდებულს გახდის გარე ფაქტორებზე და გამოიწვევს შიდა ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას. ის ფაქტი, რომ უცხოური კაპიტალი ჩაიდება არა უბრალოდ მოგების, არამედ ზემოგების მიღების მიზნით, გვაიძულებს ჩავუფიქრდეთ შიდა საინვესტიციო რესურსების მობილიზების შესაძლებლობებს.

საინვესტიციო საქმიანობაში მარეგულირებელი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის როლის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ დღეს საწარმოებს წარმატებული საქმიანობის საშუალება მიეცეთ, საკანონმდებლო სისტემამ უნდა შექმნას პირობები, რომლებიც მათ მოქმედების თავისუფლებას მისცემს, ხელს შეუწყობს და წაახალისებს კერძო ბიზნესს. ეს სტრუქტურები მოიცავს მთელ სპექტრს, დაწყებული კომპანიის კანონებიდან, რომლებიც კომერციული სტრუქტურების დაარსებისა და კაპიტალიზაციის საშუალებას იძლევა, დამთავრებული გაკოტრების კანონებამდე, რომლებიც უზრუნველყოფს ლიკვიდაციასა თუ რეორგანიზაციას არაკრედიტუნარიანობის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, მხოლოდ კანონები საკმარისი არ არის. ისინი უნდა ეყრდნობოდეს მარეგულირებელ ორგანოებსა და სასამართლო სისტემას. “შესაძლებლობის მიმცემი” კანონების ეს ტიპი და მათი განხორციელების შესაბამისი მექანიზმები, პოლიტიკოსებისა და რეგულატორების ყურადღების ცენტრშია მრავალ ქვეყანაში, სადაც ბაზრები იქმნება. რიგ ქვეყნებში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, დროდადრო გადაივლის პრივატიზაციის, ან პირიქით, სამეწარმეო საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმითა და მეთოდით სახელმწიფოს უშუალოდ ჩართვის ტალღები. განვითარებული ქვეყნებიდან სწორედ ევროპაშია თვალში საცემი სახელმწიფო საკუთრების ძლიერი ტრადიციები სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე. თუმცა, მთლიანად თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანას ახასიათებს საკუთრებისა და მეწარმეობის ფორმების მრავალფეროვნება. საბაზრო ეკონომიკის მოდელი, მაგალითად, აშშ-ში გამოირჩევა სახელმწიფო საკუთრების მინიმალური წილით და აშშ ამ მხრივ შეიძლება მივიჩნიოთ საბაზრო განვითარების კლასიკურ ლიბერალურ ნიმუშად.

ამავე დროს, მოწინავე ქვეყნების განვითარების ისტორია და გამოცდილება საკმაოდ მოწმობს იმას, რომ ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედება ყოველთვის არაა სახელმწიფოს საკუთრების სიდიდის ან ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო მეწარმეობის ხვედრითი წონის პირდაპირპროპორციული. უკლებლივ ყველა შემთხვევაში სახელმწიფო იმისათვის, რომ იყოს საბაზრო და კონკურენტული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების გარანტი, ობიექტურად იკავებს გარკვეულ მდგომარეობას საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა მას ავალდებულებს, ჯერ

ერთი, იყოს საზოგადოების ინტერესების გამომხატველი, მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში შეინარჩუნოს მოქნილი, მაგრამ ერთიანი “თამაშის წესები”, მესამე, იყოს საიმედო “ზურგი”, ხშირად კი-ეროვნული კომპანიებისათვის “შორსმხედველი” მსოფლიო ბაზარზე. გამოდის, რომ დღეს, როცა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არაერთი საუკუნეა გავლილი, სახელმწიფოს აღნიშნული “ეკონომიკური ვალდებულებები” კი არ ხუნდება და იშრიტება, არამედ ეკონომიკური პროგრესის სულ უფრო გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

სწორედ ის გარემოება, რომ სახელმწიფომ თავისი ოპტიმალური ნიშა პოვა შერეული ეკონომიკის საბაზრო მოდელში, ამ პრობლემის კვლევა სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესის შემცველია.

ქვეყნის ინვესტიციის ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები ინვესტიციური სფეროს რეგულირების სისტემის ნაწილია, რომლებიც, თავის მხრივ, არ შეიძლება განხილულ იქნეს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემებისაგან მონყვევით.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემებზე უაღრესად მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. ყველაზე ადრინდელია ფრიტრედულობისა და პროტექციონიზმის მომხრეთა ბრძოლა; ფართოდაა ცნობილი ანარქისტული და ანარქისტულ-სინდიკატისტური შეხედულებები; კეინზიანელობისა და ნეოკეინზიანელობის იდეები; კვლავწარმოების პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევის თეორიები; გავრცელებულია ლიბერალების, კონსერვატორებისა და ნეოკონსერვატორების დოქტრინები ეკონომიკაზე სახელმწიფოს შეზღუდული ზემოქმედების შესახებ. მათ გვერდით არსებობს ესა თუ ის კონცეფცია ეკონომიკის ტოტალური გასახელმწიფოებრივების შესახებ და ა.შ.

თეორიულ ასპექტში საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოდ სახელმწიფო ცდილობს გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე, “ეკონომიკურ მოძრაობაზე” მისთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მეთოდებით. ამავე დროს, იგი, არც თუ იშვიათად, უკუზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რის გამოც სახელმწიფოსა და ამ განვითარებას შორის წარმოიქმნება კონფლიქტი. “იქ, სადაც რომელიმე ქვეყნის შიდა სახელმწიფო ხელისუფლება ანტაგონიზმში მოექცა მის ეკონომიკურ განვითარებასთან, როგორც ეს აქამდე, განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ემართებოდა თითქმის ყოველ პოლიტიკურ ხელისუფლებას, იქ ბრძოლა პოლიტიკურ ძალაუფლების დამხობით მთავრდებოდა”.

საკუთრების მრავალფორმიანობის ფორმირების რთულ პირობებში ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზოგადი პრინციპებისა და მეთოდების შესამუშავებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზღვარგარეთის და, განსაკუთრებით, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის რეგულირების გამოცდილების შესწავლა.

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმს ცვალებადი, ევოლუციური ხასიათი აქვს. განვითარებულ ქვეყნებში ბოლო ათწლეულში მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი რეგულირების ტიპის ცვლა. მისი არსი მდგომარეობს ყოვლისმომცველ სახელმწიფოებრივ რეგულირებაზე უარის თქმაში კერძო კაპიტალზე სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნების პირობებში. აღებულია დენაციონალიზაციისა და დერეგულირების, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრების კურსი, 60-70-იანი წლების “შერეული ეკონომიკიდან” (უპირატესად სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციით) საბაზრო კოორდინაციურ მექანიზმზე დაფუძნებული “შერეული ეკონომიკისაკენ” შემობრუნების კურსი

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ორი მოდელი: კონსერვატიული და რეფორმისტულ-დირიჟბლური. გარკვეული პირობითობით შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ორი მოდელი: კონსერვატიული და რეფორმისტულ-დირიჟბლისტური. პირველი მოდელის არსი, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ინგლისსა და აშშ-ში ვლინდება, მდგომარეობს “შერეულ ეკონომიკაში” ბაზრის აქცენტების გადანაცვლებაში, მის “განთავისუფლებაში,” კონკურენციისა და კერძო ინიციატივის ძალების ხელშეწყობაში დენაციონალიზაციისა და

დერეგულირების საფუძველზე. ეს ნიშნავს უარის თქმას “ეფექტიანი მოთხოვნის” კეინზიანურ კონცეფციაზე და ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიურ როლზე. მაგალითად, ინგლისის მთავრობა კვეცავს წარმოებაში სახელმწიფოს ჩარევას და მას ანიჭებს მხოლოდ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის კონტროლის როლს. კონსერვატიული მოდელის მომხრეები უმუშევრობას გარდაუვალ ბოროტებად აღიარებენ და მთავარ ყურადღებას ინფლაციური პროცესების შესუსტებას აქცევენ. აშშ-ში კი რეიგანომიკის საფუძველზე მიმდინარეობს სახელმწიფოს ჩარევის ტრადიციული ფორმების შეჩერებისა და სახელმწიფო საკუთრების ნაწილის პრივატიზების პროცესი. სახელმწიფოებრივი რეგულირებისაგან თავისუფლდება ისეთი სფეროები, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, აგრეთვე საკრედიტო-ფულადი სისტემა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

მეორე მოდელი - რეფორმისტულ-დირიჟბლისტური - ყველაზე მეტად გამოვლინდა საფრანგეთში, სადაც ხორციელდებოდა “სოციალისტური ექსპერიმენტის” პოლიტიკა. ამ მოდელის არსი მდგომარეობს სახელმწიფო სექტორის გააქტიურებასა და საბანკო სისტემის ნაციონალიზაციაში. “შერეული ეკონომიკის” პირობებში აქ უპირატესობა ენიჭება სახელმწიფოებრივ რეგულირებას და არა საბაზრო ძალების სტიქიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში კონსერვატიული ტალღა საფრანგეთსაც იპყრობს. არსებითად ახლა აქ მიმდინარეობს ეკონომიკური რეგულირების ახალი მოდელის ფორმირება. მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მიუთითებს სახელმწიფოს აქტიურობის ზრდის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციაზე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოსათვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება ჰქონდეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გამოცდილებას ვითარების ზოგიერთი მსგავსების გამო: ცხოვრების დაბალი დონე, სუსტად განვითარებული ეკონომიკა, მრეწველობის სანედლეულო სპეციალიზაცია. რეალურ პირობებში ჩვენთან, ისე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შეასრულოს ეკონომიკის მიზანმიმართული განვითარების მთავარი მამოძილებელი როლი.

ეკონომიკურ პროცესებში - სახელმწიფოს ჩარევის ორი ფორმა: პირდაპირი მონაწილეობა და არაპირდაპირი რეგულირება. “მესამე სამყაროს” ქვეყნების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების ანალიზი გვიჩვენებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების ტენდენციას. ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა ორი ფორმით ხდება: პირდაპირი მონაწილეობისა და არაპირდაპირი რეგულირების ფორმებით. **სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობა ხორციელდება საზოგადოებრივი პროდუქტისა და დაგროვილი საზოგადოებრივი სიმდიდრის, მათ შორის, წარმოების საშუალებათა კვლავწარმოებაში.** სახელმწიფო სექტორის საქმიანობა ხორციელდება მსხვილ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე. მიუხედავად ამისა, მრავალი მკვლევარი მიუთითებს პრაქტიკულად ყველა განვითარებად ქვეყანაში დაბალი რენტაბელობის, ნამგებიანობის ან რესურსების არაეფექტიანი გამოყენების პრობლემების არსებობაზე სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელოვან ნაწილში.

მეორე ფორმა - არაპირდაპირი რეგულირება ეხება ეკონომიკის ყველა სექტორს და იმავე ინსტრუმენტებითა და ბერკეტებით ხორციელდება, რაც განვითარებულ ქვეყნებშია - ინდიკატური დაგეგმვა, საფინანსო, საგადასახადო, საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, ფასების კონტროლი, ინვესტიციური კანონმდებლობა და როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვა ღონისძიებები.

ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა განპირობებულია მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვის, ქვეყნის ეკონომიკური ბაზის შექმნის, უცხოური მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვისა და ა.შ. აუცილებლობით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებისა და პირობების ნიველირების ტენდენცია. მიმდინარეობს ინტერნაციონალიზაციის პროცესები, რისი ორი ფორმაც (ინტეგრაციული და ტრანსეროვნული) ხელს უწყობს განსხვავებული ეკონომიკური სისტემების ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი და კონკურე-

ნტუნარიანი ელემენტების ექსტერიტორიულ გავრცელებას. ამავე დროს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სპეციფიკა კვლავაც რჩება მსოფლიო განვითარების მრავალფარიანტულობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად.

საქართველოში ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლა, როგორც ცნობილია, მწვავე ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს. ზოგიერთი ავტორის აზრით, თუ უახლოეს პერიოდში ქვეყანაში არ გამოცოცხლდა ინვესტიციური საქმიანობა, ჩვენი ეკონომიკური განვითარებით შეიძლება ათწლეულების იქით აღმოვჩნდეთ გადატყორცნილი და ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ შევექმნათ ცხოვრების დონის ამაღლების ბაზა.

პრაქტიკულად, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი უკვე არანაირად აღარ დაიყვანება სამართლებრივი ბაზის მხარდაჭერაზე, “მედიატორი მოსამართლის” როლის შესრულებაზე და ფულადი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე. მეტიც, ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ “ბოლო წლებში სახელმწიფოზე მყარდება დიდი იმედები... სხვადასხვა ფორმის გაერთიანებების განხორციელებაში და მწარმოებლების გაძლიერებაში”.

ეკონომიკის გარკვეულ დარგებში სახელმწიფო ინვესტირება საშუალებას იძლევა შეიქმნას სასიკეთო ფონი კერძო ინვესტორების დაბანდების გააქტიურებისათვის. ერთი მხრივ, სახელმწიფო არის საინვესტიციო პროცესის ინიციატორი და მონაწილე, მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირების საშუალებით ის ითვალისწინებს და უზრუნველყოფს კერძო ინვესტორების ინტერესებს.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზოგადი პრინციპები და ფუნქციები. აქ ამოსავალი წანამძღვარია ხელისუფლებისა და მართვის სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც მიმართულია რიგი ეროვნული მეურნეობის ოპტიმალური და ეფექტიანი განვითარებისაკენ და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისკენ, რაც ერთად აღებული ქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებას.

საინვესტიციო სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპები. საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპები თანამედროვე ეტაპზე ამგვარად შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

1. ფუნქციების გამიჯვნა სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოებს შორის;
2. რეგულირების ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდების ოპტიმალურად შეხამება;
3. რეგულირების ეკონომიკური და სოციალური მხარეების დიალექტიკური ერთიანობა;
4. ინდიკატური დაგეგმვისა და პროგრამულ მიზნობრივი მეთოდებისა და სოციალური სტანდარტების გამოყენება;
5. სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების განაწილება მმართველობის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს შორის.

მართვის უმაღლესმა ორგანოებმა კანონების, აგრეთვე ეკონომიკური, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მეთოდების გამოყენებით უნდა უზრუნველყონ ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა: ეკონომიკის კომპლექსურად და ოპტიმალურად განვითარება მსოფლიო ტენდენციების შესაბამისად; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტის ფორმულირება სტრატეგიულ პლანში და უახლოეს პერსპექტივისათვის; ეკონომიკური ზრდა და მისი სოციალური ორიენტაცია; სამეწარმეო და ინვესტიციური საქმიანობის ლიცენზირება; ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა სხვა სახელმწიფოს წინაშე; ფასების შეთანხმებული პოლიტიკის გატარება; კონკურენციის გაძლიერება; ეფექტიანი დასაქმება და მოსახლეობის მიგრაციის რეგულირება; მოსახლეობის სოციალური დაცვა; გარემოს დაცვა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება.

დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციების განხორციელებაში გამოყენებული უნდა იყოს: საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, საბიუჯეტო და ფასნარმოქმნის პოლიტიკა; სამეცნიერო-ტექნოლოგიური, ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკა; დემოგრაფიული და სოციალური პოლიტიკა, მათ შორის, შრომისა და ხელფასის დარგში; ეკოლოგიური პოლიტიკა.

არსებული რეალიების გათვალისწინებით აუცილებელია დამუშავდეს ინვესტიციის ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა. ამ სისტემამ უნდა მოიცვას შემდეგი ელემენტები: კანონმდებლობის მიღება ინვესტიციური საქმიანობის შესახებ; მინიჭება და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და ინვესტიციური საქმიანობის უფლების მინიჭების პირობების შემუშავება; გადასახადებისა და საგადასახადო შეღავათების სისტემის შექმნა; მიზნობრივი სესხების გაცემის პრაქტიკის გაუმჯობესება; ობლიგაციების გამოშვება; ბიუჯეტური ინვესტირების ახალი მიმართულებებისა და მეთოდების შემუშავება; სახელმწიფო ფინანსური დახმარების გამოყოფა დოტაციების, სუბვენციების, ბიუჯეტური სესხების სახით; სესხების გამოყოფა და შეღავათიანი მიზნობრივი დაკრედიტების გამოყენება საინვესტიციო საქმიანობის ყველაზე უფრო პრიორიტეტული მიმართულებებისათვის; ამორტიზაციის პოლიტიკის შეცვლა, მათ შორის, ძირითადი კაპიტალის, მოწყობილობებისა და ა.შ. დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების სფეროს გაფართოების გზით; ეკოლოგიური კონტროლი; ანტიმონოპოლიური ღონისძიებები, რომლებიც რეგიონულ თავისებურებებს გაითვალისწინებს; პროდუქციის ლიცენზირება და კვოტირება; საგანგებო ზომების მიღება ბაზრის ფორმირების პერიოდში, საზოგადოებრივად გამართლებული დროებითი შეზღუდვების შემოღება; ქვეყნის გარეთ კაპიტალის დაბანდების ნახალისება.

ინვესტიციის ბაზრის ფორმირების ძირითადი კონცეპტუალური საფუძვლები. ამჯერად მეტად აქტუალურია ინვესტიციის ბაზრის ფორმირების პირველი რიგის ღონისძიებებისა და გზების განსაზღვრის პრობლემა. თანამედროვე მდგომარეობის და დასახულ ღონისძიებათა საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, ინვესტიციის ბაზრის ფორმირების ძირითადი, კონცეპტუალური საფუძვლები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- აუცილებელია თავისუფალი მენარმე-ინვესტორების (ე.ი. დამკვეთთა) ფორმირება. დამკვეთთა ახალი ტიპი ხელს მოჰკიდებს არა უფასო სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა “ათვისებას”, არამედ იზრუნებს ამა თუ იმ პროექტში თავისი (ან ნასესხები) სახსრების ეფექტიანად დაბანდებაზე. თანაც ის იქნება სავსებით თავისუფალი და მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი. განსახელმწიფოებრივებითა და მენარმეობის განვითარებით ყალიბდება თავისუფალი მენარმე-დამკვეთები. ამის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა სამშენებლო კომპლექსის სანარმოთა გარდაქმნა აქციონერულ საზოგადოებებად, მენარმეობის სხვა ეფექტიან ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად;

- ინვესტიციური საქმიანობის თავისუფალი სუბიექტების ფუნქციონირება შეუძლებელია შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურის გარეშე. მისი განვითარება გულისხმობს კომერციული ბანკების ქსელის, ბირჟების, სავაჭრო სახლების, ტენდერული კომიტეტების, საშუამდგომლო, სარეკლამო და სადაზღვევო ფირმების შექმნას, საკრედიტო, სადაზღვევო და აუდიტორული სისტემების განვითარებას, საგირავნო ურთიერთობათა შემოღებას და ა.შ.;

- ინვესტიციის ბაზრის ფორმირების კონცეფციის განხორციელება შეუძლებელია “ახალი ადამიანის”, ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და ჩვევების გარეშე. ამ ბლოკს წამყვანი როლი ეკუთვნის საბაზრო ურთიერთობებში.

წარმატების აუცილებელი პირობაა კრედიტის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, სამუშაო ძალის, საპროექტო და სხვა მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრების განვითარების ოპტიმალური, ურთიერთშესადარისი ტემპები. გარდამავალ პერიოდში აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ბაზრის მეთვალყურეობისა და რეგულირების განსაკუთრებული სისტემის შექმნა.

“აუცილებელია ხელისუფლებამ იტვირთოს განვითარების პროცესის ხელშეწყობის როლი, რადგანაც მისი ფუნქციაა ერთმანეთს შეუსაბამოს რესურსები და სიმძლავრეები. მან უნდა გაითვალისწინოს იმ ღონისძიებების გადაუდებელი განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისთვისაა საჭირო, განათლებისა და ინფრასტრუქტურის სახით”. გარდა ამისა, მთავრობას ევალება ინვესტიციებისათვის ბარიერების მოხსნა და უფრო კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შესაქმნელად შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: ხელი შეუწყოს შემოსავლების სამართლიან განაწილებას; ეკონომიკური ზრდის, სოციალური სტაბილურობისა და ბაზრების გაფართოებისათვის შექმნას საშუალო ფენა კარგად განათლებული და ანაზღაურებადი სპეციალისტებისაგან; გააუმჯობესოს სწავლებისა და ტრენინგისათვის საჭირო საშუალებები (ეს გამოიწვევს უმუშევრობის შემცირებას, სამუშაო ძალის განვითარებას და უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიონალების არსებობას); მინიმუმამდე დაიყვანოს კორუფციის შესაძლებლობები.

ამრიგად, თანამედროვე რეგულირების სისტემა საბაზრო და ადმინისტრაციული მეთოდების სინთეზია, მათი თანაფარდობა კი კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო მწვავეა სიტუაცია, რაც უფრო სერიოზულია კრიზისი, მით უფრო მაღალია ეკონომიკური რეგულირების სახელმწიფოებრივი მეთოდების როლი და მნიშვნელობა და, პირიქით – რაც უფრო სტაბილურია ვითარება, მით უფრო მაღალია რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმების როლი, ოღონდ სახელმწიფო მაინც ინარჩუნებს გარკვეულ ფუნქციებს ეკონომიკური და სოციალური რეგულირების სფეროში.

REFERENCES:

1. **Fabozzi Frank J. CFA.** 1995. Investment Managment. Prentice Hall International, Inc.p.34.
2. **Bodie Z., Marcus Alan J., Kane A.** 2008. Investments. Seventh Edition. McGraw -Hill Companies, Inc, p.12.
3. **Qoqiauri L.** 2013. Theoretical Genesis of Investments. Popular-Science Edition. New York. p.52-67.
4. **Sharpe F. William, Alexander j. Gordon, Bailey V. Jeffery.** 1995. Prentice Hall International, Inc. A Simon and Schuster Company Eng lewood Cliff, New Jersey. p.10; 115, 145.
5. **Koltiniuk B.A.** 2003. Investments. SPB. Michaiio Publisher. p.649.
6. **Qoqiauri L.** 2012. Investment Management and policy. Manual. Second Publication. Tbilisi. TSU. p.110-115.
7. **Igonina L.** 2009. Investments. Publish House: Economist. p. 25-37.
8. **Elton E.J. Gruber M.J.** 1991. ModernPortfolio Teoty and Investment Analysis. John Wiley and Sons, Inc.
9. **Sharpe W.F.** 1964. Capital Assets Prices: A Teory of Mrket Equilibrium Under Conditions of Risk. “Finance” Sept. p.425- 442.
10. **Qoqiauri L.** 2010. Investment Business. Tbilisi. Technical University of Georgia (In Georgian).
11. **Qoqiauri L., Beriashvili L.** 2009. Investment Legislation. Tbilisi. p. 137.
12. **Kominka A. L.** 1997. Fundamentals of Entrepreneurial Law. p. 49.
13. **Strange S.** 1998. States and markets. london. p. 90-94.
14. **Yoffe O. S.** 1975. Obligatory Rights. Publishing House: “Juridical Literature”. p. 435-463.
15. **Gilferding R.** 1959. Financial Capital. M.: p. 152.
16. **Doronina I. G. Semilyutin N. G.** 1993. Legal Regulation of Foreign Investments. p. 210.
17. **Zakharov A. V.** 2001. „The Land of Cheap Corporations“. p. 127.
18. **Marx K.** 1894. Capital. Vol. 3. p. 371-372, 431. (In Russian)

MAIN DIRECTIONS OF THE SYSTEM OF STATE REGULATION OF THE INVESTMENT MARKET

Lamara Qoqiauri

Doctor of Economics Science. Professor, Leading Scientific
Worker of the National Innovative Research Institute,
<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>,
Email: lqoqiauri@yahoo.com

RESUME

The Objective of the presented work is bringing the necessity for activation of the state role, intervention, support and regulation to fore, in the performance of development of investments, investment activities and investment market. When performing the regulation of direct investments, the state shall accomplish the following objectives:

Creating favourable conditions for performance of industrial activities in general (this objective may be accomplished by introduction of correct legislation about industrial activity, due to observance and provision of prescribed procedures, and creation of fair and premeditated system for solution).

Provision of observance of competition for running industrial activity, and creation of fair conditions for other entrepreneurs.

In the event, when a government successfully performs these objectives, its existence in the market, as a rule, remains unnoticed, at least for the national (local) investors. For the foreign investors, who provide investments on the territory of other country, there is the probability that evil, non-friendly actions will be applied against him. These actions are carried out only because it is a foreign entity (physical person or legal entity). Signing international agreements and development of the regulations of international law and common principles under modern conditions will not allow discrimination of foreign investors. The provision of fair conditions for competition in the national market by the government, equally refers to the interests of both – local and foreign investors. In the work, there is emphasized the necessity for provision of observance of regulating special legal norms, international agreements and contracts.

Keywords: investment market, regulation, investment regulation, investment legislation, definition, conservative, reformistic, foreign investments.